



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL

ოქმი № 2 „18“ 05 2020

დადგენილება № 16

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-2, მე-4, მე-6 (არადამამთავრებელი) სემესტრის სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის გადახდის განსხვავებული ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისა და 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოში კორონავირუსის გავრცელების გამო შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-2, მე-4, მე-6 (არადამამთავრებელი) სემესტრის სტუდენტებისთვის განისაზღვროს 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრით დადგენილი სასწავლო თანხის გადახდის გრაფიკისაგან განსხვავებული სწავლის საფასურის გადახდის ვადა და ნება დაერთოთ სწავლის საფასური გადაიხადონ 2020 წლის 11 სექტემბრის ჩათვლით.
2. დადგენილება დასამტკიცებლად გაეგზავნოს წარმომადგენლობით საბჭოს.
- 3 დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. დადგენილება გაეგზავნოს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და განთავსდეს ვებ-გვერდზე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.№62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
 რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მაკა ბერიძე